№ 8

ოთხშაბათი 12 იანვარი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 8

ოთხშაბათი 12 იანვარი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

10 იანვარს, საღამოს 6 საათზედ, ქ. ქუთაისში გარდაიცვალა აფხაზეთის უკანასკნელ მთავრის შვილი

**უგანათ. თავ. მიხეილ მიხეილის ძე შერვაშიძე,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ძმა უგანათლ. თავ. გიორგი მიხეილის ძე შერვაშიძე მეუღლითა და დებითურთ. პანაშვიდები გადახდილი იქმნება ყოველ დღე: ნაშუადღევის 1 საათსა და საღამოს 8 საათზედ. მიცვალებულის დასაფლავების დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული. (2—251—1)

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 13 იანვარს, 1900 წ.

ბენეფისი

## კ. ს. მესხისა

მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი **რენელი**

წარმოდგენილი იქნება:

## ცოლის მორჯულება

პიესა 5 მოქმედებად ვ. შექსპირისა, თარგ. კ. ს. მესხის მიერ.

II

## ყვავები

ვოდევილი ერთ-მოქმედებად. თარგ. კ. გალუსტოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, გარელი, აფხაზიშვილი და სხ. ბ.ბ. აბაშიძე, ყიფიანი, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

ვისაც სურს კარგის ჯიშის

## აბრეშუმის ჭიის თესლი

თეთრი და ყვითელი, ალოიზისა, ფერრანისა და ალოიზისა და ბერტეს ფირმებისა, ტფილისის სააბრეშუმო სადგურის მიერ განხილული, შეუძლიან სასყიდლად მიჰმართოს დ. ხონში ბ-ნ ივანე სიმონის ძე შარაშიძეს.

ი. ალოიზი (5—250—1)

## გრიგორ ბენენსონის
## საქონლის საწყობების გამგეობა

აუწყებს ყველას, რომ 1900 წლის 1 იანვრიდგან მთავრობის ნება-რთვით გაიხსნება ქ. ბაქოში სავარრანტო საწყობები სხვა და სხვა საქონლის შესანახად. ამასთან საქონლის პატრონთ მიეცემათ მოწმობანი საქონლის შენახვისა, გირავნობისა, და აგრეთვე სესხი. საწყობებს სახელად ეწოდება:

„საქონლის საწყობები გრიგორ ბენენსონისა ქ. ბაქოში"

ამას გარდა გამგეობა კისრულობს, საქონლის პატრონთა სურვილისამებრ, საქონლის გადმოტვირთვას, დატვირთვას, მიტანას, დაზღვევას, განაწილებას, სადამოჟნო გარდასახადის გასტუმრებას და სხვა ოპერაციებს, რომელნიც აღნიშნულია ვაჭრობის წესდ. მე-719 მუხლში; აგრეთვე მიღებას ფულისას საქონლის დამკვეთთაგან და საქონლის სხვა სახელმწიფოში გადაგზავნას.

საქონლის შენახვისათვის განსაკუთრებული ნიხრი იქმნება, რომელიც ყოველთვის ფინანსთა სამინისტროს წარედგინება დასამტკიცებლად, და დაბეჭდილი იქმნება ყოველთა საცოდნელად.

ცნობებისათვის მსურველმა უნდა მიჰმართოს გამგეობის კანტორას, რომელიც ბაქოშია მილიუტინის ქუჩაზედ კრასილნიკოვის სახლში, ხოლო საწყობები მოთავსებულია ნავთსადგურთან, წყლის-პირის ქუჩაზედ № 34. ადრესი დეპეშებისათვის: ბაქო „ბენენსონი". (3—2).

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. **Михайловская, противъ кирки.** (100—31—73)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ბ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმჰართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** *Д-ра Навасардіана.*

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.** (—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

გუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

ტფილისი, 11 იანვარი

ყოველ სარწმუნოების მოძღვრებით მეუღლეთ მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ აღასრულონ თვისი ყოვლად დიდი მოვალეობა სახელმწიფოს და კაცობრიობის წინაშე, თუ ერთად, განუშორებელნი არიან; მხოლოდ ასეთის ერთად ყოფნით შეიძლება შექმნა ჭეშმარიტის, მტკიცე ოჯახისა, რომელზედაც დამყარებულია აწინდელი სოციალური ვითარება კაცობრიობისა. ამიტომაც არის, რომ მართლ-მადიდებელი ეკკლესია ქორწინებას საიდუმლოებად სთვლის და ამ კავშირის დარღვევა როგორც საეკკლესიო, ისე სამოქალაქო კანონებს ფრიად გაძნელებული აქვთ. რუსეთის კანონთა კრებულის მე-X ტ. პირველ ნაწილის მე-103 მუხ. სავალდებულო მოვალეობად არის დასახული მეუღლეთა ერთად ყოფნა. ეს მუხლი კანონისა ამბობს: „მეუღლენი ერთად უნდა სცხოვრობდნენ. ამიტომ: 1) სასტიკად აღიკრძალება ყოველ-გვარი ხელ-შეკრულება, რომელსაც აზრად აქვს თვით-ნებითად განშორება მეუღლეთა; 2) გარდასახლებისა, სამსახურში შესვლისა, ანუ სხვა მიზეზით ქმრის მიერ მუდმივად საცხოვრებელ ბინის გამოცვლის დროს ცოლი ქმარს უნდა გაჰყვეს"-ო. ამავე სასტიკს მოვალეობას აკისრებს იმავე კანონთა კრებ. მე-X ტ. 1 ნაწილის მე-46 და 76 მუხ. და დანაშაულის აცილებისა და აღკვეთ-მოსპობის წესდ. მე-239 მუხ.

სამწუხაროდ, ცხოვრება ადამიანისა ისეა მოწყობილი, რომ იმისს უკუღმართობას ვერავითარი სისასტიკე კანონისა ვერ გარდააკეთებს და ვერ შეიმაგრებს. ხშირად ამა თუ იმ მიზეზის წყალობით ცოლ-ქმართა ერთად ყოფნა ჯოჯოხეთად არის გარდაქცეული და შეუძლებელი ჰხდება. ამ შეუძლებლობასა ჰქმნის ავი, უდიერი და სასტიკი საქციელი ერთის რომელისამე მეუღლისა მეორეს მიმართ, ფლანგვა, ლოთობა და სხვანი. კანონი ნებას არ აძლევს ქორწინების დარღვევისას ასეთ მიზეზთა გამო, ქორწინება აკისრებს ცოლ-ქმართ ერთად ყოფნას და ესენი-კი ისე არიან ერთმანეთზედ გადაკიდებულნი, ისე სძულთ ურთიერთი, რომ იმათი ერთად ცხოვრება ერთი დაუბოლოვებელი ტანჯვა იქნებოდა და იქნება სისხლის ღვრითაც დაბოლოვებულიყო. კიდეც ამიტომ მრავალია მაგალითი, რომ ქორწინება დაურღვევლად რჩება მისის დარღვევისა და მოსპობის სიძნელისა გამო, ხოლო მისი უპირველესი სავალდებულო კანონი მეუღლეთა ერთად ყოფნისა-კი არა სრულდება. მეუღლენი ერთმანეთს თავის ნებითვე ჰშორდებიან და მარტოოდენ სახელით ითვლებიან ერთმანეთის მეუღლეებად, ცხოვრებით-კი ცალ-ცალკე სცხოვრობენ.

ეს, რასაკვირველია, სასურველი არ არის და ამიტომაც აძნელებს კანონი ქორწინების მოსპობას, დარღვევას, მაგრამ ცხოვრებამ არა ერთი მაგალითი წამოაყენა წინ, როდესაც ცოლ-ქმართა ერთად ყოფნას მათი განცალკევება სჯობს. ამ ჟამად ცოლ-ქმართა განცალკევება შესაძლებლად არის დანახული დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა კანონდებულების მიერ, ხოლო სადაც ეს კანონის მიერ არ არის საჭიროდ დანახული, იქ, სამაგიეროდ, ქორწინების მოსპობა და დარღვევაა გაადვილებული. რუსეთში, როგორც ვუწყით, ქორწინების მოსპობა და დარღვევაც ძნელია და კანონით არც ცოლ-ქმართა განცალკევებაა ნება დართული. ასეა კანონით, თუმცა საქმით ბევრჯელ კანონი არა სრულდება და ამიტომ თვით კანონის აღმასრულებელნი ხშირად გვერდს უხვევენ ამ სასტიკს კანონს და კანონდებულებაც სცდილობს მის შემსუბუქებას.

მაგალითებრ, უმაღლესად 1894 წლის 3 ივნისს დამტკიცებულ ცხოვრების მოწმობათა დებულების ძალით, ქმრიან ქალს უფლება აქვს ცალკე მოწმობა მიიღოს ცხოვრებისა, მხოლოდ ქმრის ნება დართვით კი. ამ გვარად, კანონი საშუალებას აძლევს ცოლ-ქმართ საერთო თანხმობით ცალ-ცალკე დაიწყონ ცხოვრება. ამას გარდა, სასამართლო, როგორც ვთქვით, ხშირად გვერდს უქცევს მე-103 მუხ. დადგენილებას და შესაძლებელადა ჰხედავს ცოლ-ქმრის განცალკევებას. დანაშაულის გამო სხვაგან გაგზავნილთა წესდების მე-254 და 257 მუხ. ძალით, თუ ქმარი თავისს საცხოვრებელ ადგილიდგან საზოგადოების განაჩენით, ანუ მთავრობის მიერ გაგზავნილ იქმნა სადმე, ცოლს შეუძლიან არ გაჰყვეს. დასასრულ სახელმწიფო საბჭოს აზრით, რომელიც დამტკიცებულია უმაღლესად 1897 წ. 18 ივლისს,—თუ ქმრის საცხოვრებელი ბინა არ იციან, ან თუ ქმარი გონებით შერყეულია, შეიძლება ცოლს მოწმობა მიეცეს ცალკე ცხოვრებისა.

ამ გვარად შესაძლებლობა ზოგიერთ ყოვლად აუცილებელ შემთხვევაში ცოლ-ქმართა განცალკევებისა უკვე რუსეთის კანონსაც შეეპარა ცხოვრების მოთხოვნილების თანახმად; შეეპარა იმიტომ, რომ კანონდებულებამ რუსეთისამ დაინახა მისი საჭიროება, ცხოვრების მიერ წინ წამოყენებული, და არ შეიძლებოდა ამ საჭიროებისათვის ანგარიში არ გაეწია.

ამ ანგარიშის გაწევისავე შედეგია სამოქალაქო დებულების პროექტის შე-

სადგენად უმაღლესად დამტკიცებულის კომისიის მიერ შემუშავებული წესები ცოლ-ქმრის განცალკევებით ყოფნის შესახებ. ეს წესები ჯერ პროექტია და მისი ეხლავე ცხოვრებაში შემოღება, ვიდრე სახელმწიფო საბჭო არ განიხილავს და უმაღლესად არ იქმნება დამტკიცებული, რასაკვირველია, შეუძლებელია, მაგრამ იგი იმდენად საჭირ-ბოროტო საგანს შეეხება, იმდენად მაღლად მოღაღადე საჭიროებას ცხოვრებისას, კანონიერს გზასა და კვალს, რომ შეუძლებელია უყურადღებოდ იქმნას დატოვებული მწერლობის მიერ. თვით შინაარსს კომისიის მიერ ცოლ-ქმრის განცალკევებით ცხოვრების შესახებ შემუშავებულ წესებისას შემდეგს წერილში გავაცნობთ მკითხველებს.

ფარნაოზი

## ახალი ამბავი

*** კვირას, 9 იანვარს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში მოლაპარაკება ჰქონდათ გორის მაზრის თავად-აზნაურთ. თავმჯდომარეობდა მაზრის წინამძღოლი თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი. კრების დაწყებისას არჩეულ იქმნენ თ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილი და ი. გ. ამილახვარი იმის პროექტის შესამუშავებლად, თუ თავად-აზნაურობამ როგორ უნდა ჰყოს სახსოვარ ასის წლის შესრულება იმ დროდგან, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა. შემდეგ კრებას ლაპარაკი ჰქონდა სამაზრო სათავად-აზნაურო ხაზინის დაარსების შესახებ. კრებამ დაადგინა, ამ ხაზინის დასაარსებლად შეტანილ იქმნას ერთ ხანად 50 მანეთი, შემდეგ-კი ყოველ წლიწადს ორ-ორი მანეთი. დაადგინეს აგრეთვე ამის შესახებ შუამდგომლობა აღძრან. შემდეგ ლაპარაკი მაზრაში წვრილის კრედიტის დაარსების შესახებ იყო. კანონის ძალით სახელმწიფო ბანკს ნება აქვს დააარსოს ქალაქებსა და სოფლებში საკრედიტო ამხანაგობანი და აძლიოს ამ ამხანაგობებს სესხი ძირის თანხის შესადგენად. ასეთ დაწესებულებას აზრად ისა აქვს, რომ თავისს წევრებს, რომელთა რიცხვი 20-ზედ ნაკლები არ უნდა იყოს, ხელი შეუწყოს და შეღავათით სესხი აძლიოს. კრებამ დაადგინა რაც შეიძლება მეტი ასეთი ამხანაგობა დაარსოს მაზრაში გლეხთათვის. სხვათა შორის თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილმა განაცხადა, რომ მე უკვე განვიზრახე სოფელ სატივესა და ტკოცში დავაარსო ასეთი ამხანაგობები გლეხებისთვის. დასასრულ კრებამ რამრენიმე სხვა საგანიც განიხილა.

*** უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს დადგენილების ძალით, ტფილისის საქალაქო პოლიციის შენახვის ხარჯის დასაფარავად ყოველ წლიწადს სახელმწიფო ხაზინიდგან გადადებულ უნდა იქმნას: 1900 წელს—95,980 მანეთი, 1901 წელს—91,960 მანეთი, 1902 წ.—87,940 მ., 1903 წ.—83,920 მან., 1904 წ. 79,900 მანეთი. დანარჩენი ხარჯი პოლიციის შესანახად (სულ სჭირდება 179,900 მან.) უნდა თვით ქალაქმა გაიღოს. („კავკასი“).

*** კვირას, 9 იანვარს, ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეის თავმჯდომარეობით მოხდა წყლის განსაცდელისაგან დამხსნელ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება. კრებამ მოისმინა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის თ. ა. ბიკოვის წერილი, რომელშიაც ბ-ნი ბიკოვი აცხადებდა, რომ თავმჯდომარის თანამდებობას თავს ვანებებო. გამგეობის თავმჯდომარედ კრებამ ერთხმად ტფილისის გუბერნატორის თანაშემწე. აღმასრულებელი ი. ნ. სვეჩინი აირჩია. კრებამ განსაკუთრებულ კომისიის მოხსენების წაკითხვის შემდეგ, დაადგინა გამართოს ტფილისში ორი სკოლა—საბანაო, ერთი მამაკაცთათვის და მეორე დედაკაცთათვის. დასასრულ კრებამ დაამტკიცა საზოგადოების შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. ამ ხარჯთ-აღრიცხვით ამა 1900 წელს საზოგადოებას შემოსავალი ექმნება 1,570 მანეთი, ხარჯი —1,539 მანეთი.

*** როგორც გაზეთ „კავკ.“-ს შეუტყვია, ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების ბუჰალტერს ივანე პურადოვს განუზრახავს დააარსოს ქუთაისში საკომერციო კურსები. კურსებზედ უნდა ასწავლონ 1, საკომერციო არითმეტიკა; 2, ბუჰალტერია; 3, საკომერციო კორესპონდენცია; 4, საკომერციო ეკონომია; 5, სათამასუქო და სავაჭრო წესდება და 6, მართლ-წერა. კურსებზედ მიიღებენ როგორც კაცებს, აგრეთვე ქალებს.

*** როგორც „ცნ. ფურც.“-ი იუწყება, კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოს დაუდგენია დააარსოს დაბა გუდაუთში (აფხაზეთი) არდონის სემინარიის მსგავსი სამისიონერო სემინარია, რომლისათვის 8,000 მანეთი გადაუდვია თურმე.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, დრანდის ქსენონის (სოხუმის ოლქში) ექიმად ექვთ. ვაშაკიძის მაგივრად დაუნიშნავთ ექიმი ნიკ. შენგელია.

*** წმ. აბოს ხსენებას საქართველოს ეკკლესია პატივს სცემს 8 იანვარს. წელს ამ დღეს ხარფუხის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში მწირველად ჰბრძანდებოდა ალავერდის ეპისკოპოსი. ყოვლად უსამღვდელოესი კირიონი, ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის არხიმანდრიტის ჰერმოგენის, საკათედრო ტაძრის კანდელაკის ბლაღოჩინის მღვდლის ა. თოთიბაძის და სხვათა თანამწირველობით. წირვაზედ სასიამოვნოდ ჰგალობდა ბ-ნ ალ. კავსაძის მიერ ახლად შედგენილი გუნდი ქართულ მგალობელთა. წირვის გათავების შემდეგ სამღვდელოება ყოვლად სამღვდელო კირიონის მეთაურობით ლიტანიით გამოემგზავრა ეკკლესიიდგან ვარანცოვის ქუჩით წმ. აბოს სამარტვილოსკენ; ლიტანიაში მრავალი ხალხი იღებდა მონაწილეობას, წმ. აბოს სამარტვილოსთან გარდახდილ იქმნა პარაკლისი ამ წმიდისა მიმართ, რომელიც დაწერილია მშვენიერისა და მეტად სასიამოვნო მოსასმენის ქართულის ენით. პარაკლისს დაესწრნენ სომხები და თათრებიც, რუსებსა და ქართველებს გარდა. საპარაკლისო სახარების წაკითხვისშემდეგ დღის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ქართულს ენაზედ ტფილისის სემინარიის მასწავლებელმა ი. ი. ფერაძემ. ყოვლად უსამღვდელოესმა კირიონმა კეთილ ინება თვისს მიერ შედგენილის და გამოცემულის ქართულის წიგნაკის: „წმ. აბოს“ 500 ცალის ხალხისთვის უსასყიდლოდ დარიგების შესახებ განკარგულების მოხდენა.. ეს ამდენი რიცხვი წიგნაკთა უეცრად სადღაც გაჰქრა; დიდის აღტაცებით დატაცებულ იქმნენ იგი დამსწრე ხალხის მიერ. მალე წმ. აბოს სამარტვილოსთან დაარსებულ იქმნება საეკკლესიო-სამრევლო სკოლა ამ წმიდის სახელზედ, ქართლ-კახეთის საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს ხარჯით. ასეთი დღესასწაული და ასეთი სკოლის დაარსება დიახ შეჰფერის წმ. აბოს ხსოვნას. ის, როგორც ვიცით, იწოდება ტფილელად და ითვლება ამ ქალაქის მფარველ ანგელოზად.

*** ოსმალეთის ელჩად ტფილისში ოსმალეთის მთავრობას დაუნიშნავს გეიდარ-ბეი, რომელიც აქამდის ნეაპოლში იყო ელჩად.

*** კვირას, 9 იანვარს, ტფილისის საკრედიტო საზოგადოების სადგომში მოხდა არჩევნები კომერციის მამასახლისისა და იმის თანაშემწისა. არჩეულ იქმნენ მამასახლისად ი. ბ. ხალათოვი, ხოლო თანაშემწედ ბ-ნი გრიგორიევი.

*** 8 იანვრისთვის ქალაქ გორში დანიშნულია განსახილველად საქმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის აგენტის ივანე ბოკერიასი და მაშინისტის დიმიტრი გოლოვაჩევისა, რომელთაც ის ბრალი ედებათ, რომ თანამდებობის აღსრულების დროს უკანონო მოქმედება ჩაიდინეს, რის გამო ორი მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა.

*** სიღნაღის მაზრაში პრასიანის მცხოვრებმა პარმენ ბეჟანაშვილმა ჩხუბის დროს დასჭრა ტიბაანის მცხოვრები ბასო ხატიაშვილი.

*** ამას წინად გორის მაზრის მცხოვრები 70 წლის მოხუცი, მოსე არენიძე წყალში დაირჩო მდ. ფრონზედ გადასვლის დროს.

## ქალაქის საბჭო

10 იანვარი.

რადგან ბ-ნი ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი არ მოვიდა ავადმყოფობისა გამო, თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა მოურავის მოადგილემ ბ-ნმა შესტაკოვმა.

წარსულის კრების ანგარიშის წაკითხვის შემდეგ, საბჭო შეუდგა მორიგ საქმეთა განხილვას.

თავმჯდომარე. ამას წინად საბჭომ დაადგინა, რომ ქალაქის თანხიდგან ტფილისის ღარიბებს დაურიგდეთ 1000 მან. და 90 მან. მიეცეს ქალაქის მოხელედ ნამყოფს ბ-ნს მაღალდაძეს. ეს ფულები შეცდომით შეტანილ არ იქმნა მიმდინარე წლის დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვაში და ამის გამო გამგეობამ გუბერნატორს ვერ წარუდგინა საბჭოს დადგენილება დასამტკიცებლად. ნება მოგვეცით, ეხლა შევიტანოთ იგი დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვაში.

საბჭომ შეიწყნარა წინადადება.

გამგეობის წევრი ბ-ნი ხოსროევი. 9 კაცმა საჩივარი შემოიტანა, რომ გამგეობამ დიდი გარდასახადი შეგვაწერაო და ამას შემცირებას თხოულობენ. ეს კაცები არიან: თეატრის ბუფეტის პატრონი—გიორგი სხირტლაძე, ბატონი მადერი, სახელმწიფო თეატრის ბუფეტის მოიჯარადრე ბ-ნი ჩიკვაიძე; კანდიტრები—საკოიანცი, ივანოვი, ანიევი და სხვები. გამგეობამ მიანდო სავაჭრო პოლიციის უფროსს ზედამხედველს ბ-ნს ჯაბადარს გამოეკვლია, თუ რამდენად საფუძვლიანია ეს საჩივრები. ჯაბადარმა შეჰკრიბა ცნობები და გამგეობას მოახსენა, რომ გაწერილ გარდასახადის გარდახდა ყველას შეუძლიანო. ამიტომ გამგეობამ უყურადღებოდ დასტოვა ყველა საჩივარი. როგორ გნებავთ, ბატონებო, დაამტკიცებთ გამგეობის დადგენილებას, თუ მოისმენთ თითოეულს საჩივარს?

ხმები. წარსულს წლისაზედ რამდენით ზედ-მეტი შეაწერეთ წრეულს, მაგალითად, სხირტლაძეს?

ბ-ნი ხოსროევი. შარშან ჰქონდა შეწერილი 700 მან., წლეულს 900 მ. შევაწერეთ.

ხმ. კრიჟეროვი. ვაჭრები საზოგადოდ თავიანთ შორის ირჩევენ დეპუტაციას გარდასახადის გასაწერად.

ბ-ნი ხოსროევი. წლეულს გამგეობამ გააწერა.

ზოგიერთი ხმოსნების შეკითხვის გამო—საკანდიტროებს რატომ აქვს შეწერილი სატრაქტირო გარდასახადიო—ბ-ნმა ხოსროევმა განმარტა, რომ რომელ საკანდიტროშიც ცალკე ოთახია მოწყობილი და იქ ჩაისა, ყავისა, შოკოლადისა და სხ. დალევა შეიძლება, იმას ასეთი გარდასახადი ხდებაო. როგორც აღმოჩნდა, ამ გვარი გარდასახადისაგან ქალაქს შემოსდის წლეულს 2040 მან.

ხმ. ა. თ. ფრიდონოვი. ღარიბი ხალხი ამ გვარს საკანდიტროებში ჰშოულობს იაფ-ფასად ჩაისა და ამისათვის მათი მადლობელიც უნდა ვიყვნეთ და ხელი მოუმართოთ და არა შევავიწროვოთ მომეტებულის გარდასახადით.

ხმები. სრული ჭეშმარიტებაა.

ხმ. სულხანოვი. მე ვყოფილვარ ანიევის საკანდიტროში და არაოდეს არ შემინიშნავს, რომ დიდი ვაჭრობა ჰქონდეს. ზოგიერთი კანდიტერი ჩაის არა ჰყიდის, მაგრამ სამაგიეროდ სხვებზედ გაცილებით დიდი ვაჭრობა აქვთ. ვინც ჩაისა და შოკოლადს ჰყიდის რად უნდა შევავიწროვოთ მომეტებულის გარდასახადით, მით უფრო, რომ ეს საგანი დიდს შემოსავალსაც არ აძლევს მათ.

ხმ. ი. ს. ზაზოვი. ხმოსნებმა საიდგან იციან, ვის როგორი ვაჭრობა აქვს? გამგეობამ უკეთ არ იცის ეს? ამიტომ საბჭომ უნდა დაამტკიცოს გამგეობის დადგენილება.

გამგეობის გარდაწყვეტილება შეწყნარებულ იქმნა.

თავმჯდომარე. უნდა მოისმინოთ, ბატონებო, გამგეობის მოხსენება ხმ. ნ. ი. თავ. არღუთინსკის შემოკითხვის გამო ჩაიგეშტოვის შენობის შესახებ ფრეილინის ქუჩაზედ.

გამგეობის წევრი თავ. ჩერქეზიშვილი. (თავ. არღუთინსკის) რა გნებავთ ამ საგნის შესახებ.

ნ. ი. თავ. არღუთინსკი. ჩაიგეშტოვს აკრძალული ჰქონდა მეორე სართულის დადგმა. მე ამას წინად გავიარე იმ ქუჩაზე და ვნახე, რომ შენობა უკვე დაუმთავრებია. ეს როგორ მოხდა? გამგება უნდა ასრულებდეს სავალდებულო დადგენილებას.

თავ. ჩერქეზიშვილი. ბ-ნმა ჩაიგეშტოვმა ითხოვა 1895 წელს, რომ ნება მომეცით ჩემს სახლს მეორე სართული დავადგაო. გამგეობამ უარი უთხრა მას და მოსთხოვა გეგმა წარმოედგინა შენობისა. მეორე წელიწადს მან წარმოადგინა გეგმა, მაგრამ გამგეობამ არ მოიწონა და უარი უთხრა. წარსული წლის მაისში გამგეობამ გაიგო, რომ, აკრძალვის მიუხედავად ჩაიგეშტოვს უკვე აეშენებინა მეორე სართული. გამგეობამ მაშინ შესაფერი ღონის ძიება იხმარა მის წინაღმდეგ. ჩაიგეშტოვმა შეავიწროვა შენობა, დააპატარავა ის იმ ზომამდე, რომელიც შეეფერება ფრეილინის ქუჩას, და რომლის წინაღმდეგ არა ეთქმისრა საბჭოს სავალდებულო დადგენილებას.

საბჭო დაკმაყოფილდა ამ მოხსენებით.

გამგეობის წევრი თავ. ჩერქეზიშვილი. ხმოსანმა მელიქოვმა გამგეობაში წინადადება შემოიტანა, რომ დიდ ზამთრით სარგებლობენ მეპოვოსკეები და სახლის პატრონებს ორ-სამ წილ ქირას ახდევინებენ თოვლის გადატანაშიო. მაგალითად, შემთხვევა იყო, ერთ პოვოსკა თოვლის გა[დატანაში] მანეთი და მეტიც გადაუხ[დევინებინოთო]. ამის გამო საჭიროა განსაზღვრული ნიხრი დაწესდეს მე[პოვოსკეებსა] და მეურმეებზე ეზოს და ქუჩის თოვლისა და ტალახის გადა[ტანისათვის]. გამგეობა შეეკითხ[ა] ქალაქის ინჟინერს ბ-ნს ალიბეგოვ[ს] და ამ უკანასკნელმა ის აზრი გამო[თ]სთქვა, რომ ერთ ცხენიან ტაჩკ[ის] ქირად დაწესდეს 15—20 კაპ., ხოლო ორ-ცხენიანსა და ურემზედ—30—40 კაპ. გამგეობამ მოიწონა [ეს] აზრი და საჭიროდ სცნა ასეთი ნიხრი გაწესდეს პირველ მარტამდის.

თავმჯდომარე ბ-ნი შესტაკოვი. ბატონებო, გამგეობის მოხსენება გნებავსთ, დაამტკიცეთ ეს, გნებავ[თ] კომისიას გარდავცეთ განსახილვე[ლა]დ. ჩემის აზრით, უმჯობესი იქ[ნება], იმ კომისიას მივანდოთ ამ საგ[ნის] გარდაწყვეტა, რომელსაც დავა[ვა]ლებული აქვს მეპოვოსკეთა წეს-რიგის შემუშავება.

ხმ. თაიროვი. კომისიისათვის [ამ] საქმის გადაცემა არ შეიძლება. [ის] კომისიას სულ სხვა საქმე აქვს მი[ნ]დობილი და ეს სულ სხვა საგანი[ა]. გამგეობამ უნდა დაიჩქაროს, საკუ[თ]არი პოვოსკების შეძენა, როგორც საბჭოსაგან დავალებული აქვს. თ[უ] ასე არ მოვიქეცით, ვერას გავა[წ]ყობთ. გამგეობის მიერ წარმოდგე[]ნილი ნიხრი კიდევაც რომ დაამტკი[]ცოს საბჭომ, ამით არა გაკეთდებ[ა] რა, რადგან კერძო კაცებს არ აქვ[თ] მოწყობილი პავოსკები ნაგავისა [და] მტვერის გადასატანად. ამბოიენ, [მე]პავოსკეები დიდ ქირას თხოულო[ბე]ნ თოვლის გადატანაშიო. რატ[ომ] გამგეობამ არ გაასუფთავა ქუჩები [და] ეს მძიმე ტვირთი სახლის პატრონე[ბს] დაადო?

ხმ. ა. ს. ზაზოვი. გამგეობამ უნ[და] დაიჩქაროს საკუთარი პოვოსკების შ[ე]ძენა, მაგრამ ეხლა-კი საჭიროა ნი[]ხრი, რადგან მეპოვოსკეები ტყავს ა[ძ]რობენ სახლის პატრონებს. განს[ა]ხილველად-კი ეს საგანი კომისი[ას] უნდა გადავსცეთ, რომელიც აგრ[ე]თვე ქალაქის მიერ საკუთარ პოვო[ს]კების მოპოვების პროექტსაც შემ[უ]შავებს. თორემ გამგეობას რომ ვ[ე]ყუროთ, ორი წელიწადიც დაავვა[]

ეროვნული ბიბლიოთეკა

...დება, სანამ პროექტს წარმოგვიდგენდეს. რამდენი ხანია, რაც ელექტრონით განათების შესახებ პროექტი უნდა წარმოედგინა გამგეობას, მაგრამ ჯერაც არ არის. ახალი კომისია-კი საჭირო არ არის; არსებულს კომისიას მივანდოთ ეს საგანიც. გარდა ამისა, სავალდებულო დადგენილება ნიხრის შესახებ რამდენიმე წლით უნდა გამოიცეს, თორემ როგორ შეიძლება ასე მოკლე ვადით.

ხმ. ქალანთარი. ნიხრი საჭირო არ არის, რადგან სულ ერთია, არავინ შეასრულებს მას. საკუთარი პოვოსკები უნდა გავიჩინოთ და ამ საშუალებით მოცალეობას გავუწევთ კერძო მეპოვოსკეებს.

ხმ. სულხანოვი. ასეთი ნიხრი კიდევ შეიძლება თოვლის გადატანისათვის, რომელსაც აქვე მტკვარში ჰყრიან ხიდთან, მაგრამ 15—20 კაპეიკათ ნაგავის ზიდვა ქალაქს გარეთ უსამართლობა იქნება.

თავ. ნ. გ. არღუთინსკი. 1897 წელს ვთხოვეთ გამგეობას საკუთარის პოვოსკების მოპოვების შესახებ ეზრუნა, მაგრამ ჯერ კიდევ არ წარმოუდგენია პროექტი. ამ ზამთარმა დაგვანახვა, რა ძვირად უჯდებათ სახლის პატრონებს თოვლის გადატანა. მე 35 მანეთი დამეხარჯა ამ საქმეზედ. თუ ვიქონიებთ მხედველობაში, რომ ტფილისში 15 ათას სახლამდეა და თითო სახლის პატრონს 2 მანეთი დაუჯდებოდა თოვლის გადაზიდვა, შესდგება 30 ათასი მანეთი. ეს დიდი ფულია. და რადგან ზამთარი წინ გვიდგას, იქნებ კიდევ ამაზედ მეტიც დაიხარჯოს. ის არა სჯობდა, რომ საკუთარი პავოსკები ჰქონოდა ქალაქს; ხომ უზრუნველადაც ვიქნებოდით და ნაკლებიც დაგვიჯდებოდა. ნიხრი და სავალდებულო დადგენილება ბევრს ვერას შეგვძენს. ისევ სჯობიან ვადა დავუნიშნოთ გამგეობას და დავავალოთ საკუთარი პოვოსკები გაიჩინოს.

ხმები. ვადა, ვადა; ერთი თვის ვადა!

ხმ. დოლუხანოვი. რითი ხელმძღვანელობდა გამგეობა, როცა ნიხრი შეადგინა? არც გამგეობას და არც საბჭოს კანონი ნებას არ აძლევს ასეთი ნიხრის დაწესებისას.

გამგეობის წევრი თავ. ა. მ. არღუთინსკი. საბჭოს ნება აქვს კანონით ამგვარი ნიხრი დააწესოს. (კითხულობს კანონს, საიდგანაც სჩანს, რომ საბჭოს მართლა ჰქონია ნება).

ხმ. მელიქოვი. აქ არა თუ არავითარი უკანონობა არ არის, პირიქით, ძალიანი კანონიერებაა. თუკი ხალხის წაყვანისათვის არის ნიხრი, რისიმე გადატანაზედ რატომ არ უნდა არსებობდეს? ეს ნიხრი საჭიროა და არც კომისიას უნდა გადაეცეს განსახილველად, რადგან სანამ კომისია განიხილავდეს, დრო გავა და მერმე აღარც რაიმე მნიშვნელობა ექმნება.

თავ. ჩერქეზიშვილი. ხმ. ბაბოვის განცხადება, რომ დროებითი სავალდებულო დადგენილების გამოცემა არ შეიძლებაო, არ არის ჭეშმარიტება. ასეთი ნიხრის დაწესება ეხლაა საჭირო, სანამ ზამთარია, თორემ მერმეთ მნიშვნელობა აღარ ექმნება. ხმოსანმა ბაბოვმა განაცხადა აგრეთვე, რომ კომისიას უნდა მიენდოს საკუთარი პავოსკების შეძენის შესახებ პროექტის შედგენა, თორემ გამგეობა ორს წლამდის დააგვიანებსო და მაგალითად ელექტრონით განათების შესახებ პროექტის დაგვიანება მოიყვანა. არა გვგონია, რომ კომისიამ გამგეობაზედ უფრო დააჩქაროს საქმე. რამდენი კომისია არსებობს, და ვინ არ იცის, როგორ აგვიანებენ საქმეს. უნდა მოგახსენოთ, გამგეობას არ დაუვიწყნია პოვოსკების შეძენის შესახებ პროექტის შედგენა და არც ორ წელიწადს დააგვიანებს. მაგრამ ეს საქმე ერთობ ძნელია, და არც ისე ადვილად შეიძლება შეძენა საკუთარის პოვოსკებისა, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, რომელნიც საქმეში არ არიან ჩახედულნი. ჩვენ მივუკვეთეთ საცდელად 16 ტაჩკა, მაგრამ ჯერაც ვერ დაგვიმზადეს. აგრეთვე მოვიხმეთ მეეტლეებისა და მეპოვოსკეების სტაროსტები და დავავალეთ, რომ 16 კარგი ცხენი ეშოვნათ, მაგრამ ჯერ არა გამოვიდა-რა. ელექტრონით განათების შესახებ პროექტის დაგვიანებას რაც შეეხება, ხმ. ბაბოვი კომისიის წევრია და კარგად უნდა იცოდეს რისთვისაც დაგვიანდა. ხმოსანის თაიროვის საყვედური, თუ რატომ გამგეობამ არ გაასუფთავა ქალაქი თოვლისაგან, უსაფუძლოა. გამგეობამ რამდენიმე ქუჩა გაასუფთავა, სადაც უფრო ბევრი ხალხი დადის, და 1500 მანეთი დაუჯდა ეს საქმე, მთელი ქალაქი რომ გაესუფთავებინა, 20 ათასი მანეთიც არ ეყოფოდა. ამას გარდა, ზამთარი კიდევ წინ გვიდგას, შეიძლება კიდევ დიდი თოვლი მოვიდეს, და თუ გამგეობამ იკისრა ყველა ქუჩების გასუფთავება, ვინ იცის, 60 ათასი მანეთიც არ გვეყოს.

კრებამ არ შეიწყნარა ნიხრი და არც კომისიას გადასცა განსახილველად; ამასთანავე დაადგინა, რომ ერთი თვის განმავლობაში გამგეობამ წარმოუდგინოს საბჭოს პროექტი საკუთარის პოვოსკების შეძენის შესახებ ქუჩებიდგან და ეზოებიდგან უსუფთაობის გადასაზიდად.

შემდეგ კრება შეუდგა, კ. მ. ალიხანოვის თავმჯდომარეობით, რომელიც ამ გვარ შემთხვევებისათვის საბჭოს თავჯდომარეთ არის არჩეული, გამგეობის 1894 და 1895 წლების ანგარიშის განხილვას და მოასწრო მხოლოდ ერთი წლის ანგარიშის წაკითხვა, რომელიც შეწყნარებულ იქმნა თითქმის უცვლელად.

## კახეთის მევენახეთა კრება

(შემდეგი *)

თავმჯდომარე დაეკითხა კრებას: წკრეზე დაყენება ვენახისა სასარგებლოა თუ არა? ყველანი ერთ-ხმად ალიარებენ სასარგებლოდ. მერე იკითხა: რომელი უფრო ხანგრძლივ მუშაობს—გადაწვენილი თუ პლანტაჟით გაშენებული ვაზი? ყველანი თანახმანი არიან, რომ უკანასკნელი უფრო ხანგრძლივიაო. ამის შემდეგ თავმჯდომარემ იკითხა: პლანტაჟით გაშენება, როგორც გვირჩევს თავ. ჯანდიერი, უნდა ჩაითვალოს საუკეთესოდ, ხოლო გადაწვენით წკრეზედ დაყენება დროებითად.

ბ-ნი ზავაროვი. ამ საგნის გადამწყვეტი ფულის სარგებლის რაოდენობა არის. მოჰყავს ანგარიში დიდ სარგებლიან და მცირე სარგებლიან თანხისა. ამასთან მოსავლის ღვინოსაც ფულად აგდებს. ამ ანგარიშიდგან გამოჰყავს დასკვნა, რომ თუ ფული იაფის სარგებლით იშოვნა კაცმა, უნდა პლანტაჟს მიჰმართოს და თუ ძვირი სარგებლით—გადაწვენასა.

თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი. ბ-ნი ზავაროვი თავისს ანგარიშში ივიწყებს, რომ გლეხებს პლანტაჟისათვის არავითარი კაპიტალი არა სჭირდებათ, რომ მათთვის ყველაფერი სასარგებლოა, რასაც თვისს შრომას გამორჩებიან და ამასთან დიდად სასურველიც არის, რომ გლეხებმა თვისი შრომის ნაყოფად პლანტაჟით გაშენებული ვენახები იქონიონ.

თავმჯდომარე ურჩევს კრებას მიიღოს შემდეგი დადგენილება: ამჯობინებენ-რა წკრეზედ დაყენებულს ვენახს, კრების წევრნი ყოველ შემთხვევაში ვერ ურჩევენ პლანტაჟით ვენახის გადაკეთებას, ეს აზრი შეწყნარებულ იქმნა.

თავმჯდომარე. დაწვრილებით უნდა განვიხილოთ გასხვლა და იქნება ინებოს ვინმემ განმარტება, როგორი გასხვლა უფრო სასარგებლოა. მოხსენებაში ნარჩევი გასხვლა იმითი არის კარგი, რომ დიდი მოსავალი იცის, რადგანაც გრძელი რქა რჩება და მეტს ისხამს.

ი. თ. კოლელიშვილი. აგერ ხუთი წელიწადია ისე ვასხვლევინებ, როგორც გიუიე გვირჩევს. პირველს წელიწადს მომივიდა 12 საპალნე (546 ვედრო), მეორე წელიწადს 16 საპ. (768 ვედრო), მესამეს 18 საპ. (864 ვედრო), მეოთხეს 22 საპ. (1050 ვედრო) და ვფიქრობ, რომ გიუიეს გასხვლა სამჯობისია.

თავ. ა. რ. ჯავახიშვილი. გიუიესებური გასხვლა არ შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესოდ, რადგანაც ჯერ არავის უცდია, რომ ერთსა და იმავე გარემოებაში იმ გვარი გასხვლა სჯობდეს ადგილობრივს, ან სხვასა.

თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი. ბ-ნ კოლელიშვილს გიუიესებურად უსხვლევინებია და მოსავალს უმატნია, მაგრამ იმან არ აგვიხსნა, როდის დაიწყო წამლობა, როგორ აკეთებდა და აკეთებს ვენახს. იქნება მოსავლის მომატებაზედ სხვა პირობებს უფრო მეტი გავლენა ჰქონდათ. როგორც სჩანს, კახეთში არავის უცდია სხვადასხვა ნაირი გასხვლა, ამისათვის არა გვაქვს მასალა, რომლის შემწეობითაც რაიმე გადაწყვეტილებას დავადგეთ. სასურველია, კრებამ სთხოვოს, რომ ჩობახურის სანერგეში სცადონ სხვა-და-სხვა ნაირი გასხვლა. აგრეთვე სასურველია, რომ მევენახეებმა სხვა-და-სხვა ადგილას სცადონ იგივე.

თავმჯდომარე. რადგანაც არც ნაცადია ადგილობრივ სხვა-და-სხვა ნაირი გასხვლა და რადგანაც მწერლობაშიაც არ არის გადაწყვეტით რაიმე ნათქვამი, თუმცა ეს საგანი კი არის აღძრული ერთი უცხოეთის ჟურნალისაგან, რომლის რედაქციაც შეეკითხა მევენახეთ გასხვლაზედ, მევენახენი სამ ჯგუფად გაიყვნენ და თითოეული თავის მიერ არჩეულს გასხვლას ამჯობინებს. ამიტომ ვარჩევ ეს საგანი დავტოვოთ გადაუწყვეტლად და მივიღოთ წინადადება თავ. ი. ზ. ანდრონიკოვისა სხვა-და-სხვანაირ გასხვლის ცდის შესახებ.

კრება ამ აზრს დაეთანხმა.

ამავე კრებაზედ ბ-ნმა ვ. ნ. გეევსკიმ წაიკითხა დეპეშა ბ-ნ სამიწადმოქმედო მინისტრისა, რომელშიაც იყო ნათქვამი: „გილოცავთ-რა დაწყებას კახეთის მევენახეთა პირველის კრებისას, რაიცა თქვენის დეპეშით შევიტყე, ვისურვებ, რომ კრების მუშაობა ნაყოფიერი ყოფილიყოს“. კრება გადაიდო მეორე დილამდის.

*) იხ. „ივერია“ № 7.

## სამრევლო სკოლები და ბ-ნი მ. ფარცხნანელი

(წერილი ზესტაფონიდგან)

ამ უკანასკნელ წლებში შორაპნის მაზრაში სამრევლო სკოლების რიცხვმა შესამჩნევად იმატა. არის ისეთი ადგილები, სადაც 5—6 სამრევლო სკოლა არსდება. ხან და ხან ბ-ნი მ. ფარცხნანელი თუ გაგვახსენებს სამრევლო სკოლების არსებობას, მაგრამ ამ თავიდგანვე უნდა გამოვტყდეთ, რომ მას ამ საგნის შესახებ ვერავითარი გარკვეული და გადაჭრილი აზრი ვერ შემოაქვს ჩვენს სწავლა-აღზრდის საქმეში; პირ-იქით მისი წერილები აშკარად ჰყოფს, რომ მას ამ სკოლებზე, მიუხედავად ათის წლის გამოცდილებისა, როგორც თითონ ამბობს, არავითარი აზრი არ აქვს შედგენილი და ან ამ აზრის გამოთქმა ვერ მოუხერხებია. თითქმის ყველა წერილს ბ-ნი მ. ფარცხნანელი იმითი იწყებს და ათავებს, რომ ალისუბნის სამრევლო სკოლას ორივე ყურში ხელს სტაცებს, მიაქნევ-მოაქნევს და მიბეგვილს სტოვებს. ალის უბნის სკოლა ჩვენ არ მიგვაჩნია ისეთ დაწესებულებად, რომ იმის შესახებ ამდენი მელან ქაღალდის დახარჯვა საჭირო იყოს, და, საკვირველია, რომ ბ-ნმა მ. ფარცხნანელმა მაინცა და მაინც ეს სკოლა ამოიღო ნიშანში და აღარ ეშვება! „ივერიის“ მე-237 №-ში ბ-ნმა მ. ფარცხნანელმა დაჰბეჭდა „წერილი არგვეთიდგან“, რომელშიაც, როგორც თითონ ამბობს, სურს გამოიკვლიოს და გააცნოს საზოგადოებას მიზეზები სამრევლო სკოლების დაქვეითებისა, უკან ჩამორჩენისა. ამასთან ამბობს, რომ სამრევლო სკოლები ჩვენს ხალხს ძლიერ მოსწონს მაგრამ, საუბედუროდ, სამრევლო სკოლებს არსად არა ჰყავს სამყოფად მოსწავლეებიო. საკვირველი ამბავია! თუ ჩვენს ხალხს სამრევლო სკოლები ძლიერ მოსწონს, თუ ისინი ჩვენის ხალხის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ უფრო უკეთ, მაშ რითი აიხსნება, რომ სამრევლო სკოლებში ხშირად ძლივს-ძლივობით 10—15 ბავშვია აი, ამოსაცნობიც ეს არის, თუ იკითხავთ!

შემდეგ ბ-ნს მ. ფარცხნანელს სურს ახსნას, თუ რად ცალიერდება ხშირად სამრევლო სკოლები და აქა-იქ ეს ჩვენი განათლების ლამპარი კიდეც ჰქრება. ამგვარ მიზეზად ასახელებს იმას, რომ ს. ტელეფის სკოლა სულს ჰლაბავს, ესა და ს. რუფოთის სკოლა შვეცია-ნორვეგიის მოძრავ სკოლებს მოგვაგონებთ და ალისუბნის სასწავლებელში მასწავლებლებს საკლასო ჟურნალი არ აქვთო. ეს ხომ მიზეზის შედეგია და არა თვით მიზეზი. ბ-ნ მ. ფარცხნანელს უნდოდა, როგორც თითონ სთქვა, მიზეზების მოძებნა და სამწუხარო მოვლენის ახსნა და ამის მაგიერ მიზეზად თვით ეს მოვლენა დაასახელა. შვეცია-ნორვეგიაში რომ მოძრავი სკოლები და ეგრედ წოდებული ერთი სოფლიდგან მეორეში გარდამავალი მასწავლებლებია, ეს ჩვენც ვიცით, მხოლოდ ტელეფისა და რუფოთის სკოლებს და მასწავლებლებს რომ იმათთან საერთო არა აქვთ-რა, ესეც ცხადია. როგორც წერილიდგან სჩანს, ბ-ნს მ. ფარცხნანელს სამრევლო სკოლები მოსწონს.

შორაპნის მაზრაში რიცხვით სამრევლო სკოლები მართლა რომ ბევრია, მაგრამ სიმრავლე ხომ სიკარგის მაჩვენებელი ყოველთვის არ არის. იმ გვარად, როგორაც დღეს სამრევლო სკოლები არსდება, შესაძლოა რიცხმა კიდევ იმატოს. დღეს ჩვენებურ სამრევლო სკოლისთვის საჭიროა ეკკლესია, მღვდელი, ერთიც ანბანის მცოდნე და სამრევლო სკოლაც მზად არის. ს. ბნელეთის მოძღვარი აკურთხებს სკოლას მეთვალყურისა თუ საბჭოს რომელიმე წევრის თანადასწრებით და გათავდა საქმე. ამ გვარ სკოლას არც სახლი უნდა, არც ავეჯი და, წარმოიდგინეთ, არც მასწავლებელი, და თუ მასწავლებელი გამოჩნდება, ის უთუოდ უჯამაგიროა, ან იმავე ეკკლესიის მედავითნე. რა სკოლაა ეს? მე თუ მკითხავთ, ამგვარ სკოლის ყოველ დღე დავაარსებ, თუ მოცლა დამირჩა. სად გინდათ, რომ სკოლა არ არის და ვინ გინდათ, რომ არ მასწავლებლობდეს? ავილოთ, თუ გინდათ, ანბანის სწავლება: ბევრი დღესაც ისე ასწავლის, როგორც ორმოცის წლის წინ ასწავლიდნენ—„შინ“, „ყარ“ „ხარ“ (შ, ყ, ხ,), და არავითარი წარმოდგენა არა აქვს ამ საგანზედ. სამრევლო სკოლებს ბევრი უფროსი ჰყავს: მასწავლებელი, ადგილობრივი მღვდელი, სამაზრო საბჭო, სამაზრო მეთვალ-ყურე, საეპარქიო და სხვები. ამის გამო ხშირად „ორ ძიძას შუა ბავშვი უძუძუროდ ჰკვდება“. ესენი ყველა იმის ცდაში არიან, რაც შეიძლება რიცხვით მეტი იყოს სამრევლო სკოლები; არც სასკოლო სახლია, არც ავეჯი, არც მასწავლებლის ჯამაგირი და სკოლა-კი არსებობს. ეს ცოტა არ იყოს სასაცილო ამბავია.

(დასასრული იქმნება)

## წერილი ბარის ოსეთიდგან

7 ქრისტეშობისთვეს აქეთ ადლზედ მეტი თოვლი მოვიდა, რომელსაც მოჰყვა არა-ჩვეულებრივი ყინვა. ხალხს მომეტებულის ყინვის გამო სამუშაოდ ველარ გაუბედნია სადმე წასვლა. სოფელ ნუზალიდგან რამდენიმე კაცი ურმით წავიდა მინდვრად სიმინდის მოსატანად; ექვსს მათგანს საშინლად გაუყინა ზოგს ფეხები და ზოგს ხელები. ეხლა-კი ცოტა მოტყდა ყინვა.

წარსულ თვეში სოფელ არდონში კინაღამ ერთი უბედურება არ მოხდა. საქმე ასე იყო: ალექსანდრეს სამისიონერო სემინარიის განყოფილებამ გაჰგზავნა ამ სემინარიის წევრი მღ. მამა ათანასე ალბეგოვი სოფ. სალუგარდანზედ მიწერილ სოფელში, იქაური სკოლის დასათვალიერებლად. სალუგარდნიდგან დანიშნულ სოფლამდინ მამა ალბეგოვს მოუხდა ცხენით წასვლა. თან მხოლოდ ერთი გამცილებელი ახლდა და ისიც ფეხით, რომელიც შორე ახლო მისდევდა მღვდელს. გასავლელი გზა ტყიანი იყო. გაიხედა მ. ალბეგოვმა და დაინახა, რომ მისკენ მირბოდა ერთი პირდაღებული მგელი, რომელსაც

პირიდგან ქაფი გადმოსდიოდა. მ. ალბეგოვმა შეუყვირა, მაგრამ მაინც პირდაპირ მოაშურა მგელმა და ცხენს ყანყრატში ეცა. ცხენი განზედ გახტა და თავი გაინთავისუფლა მგლისაგან. მ. ალბეგოვმა რომ შეატყო, მგელი უთუოდ ცოფიანიაო, უკანვე გამოაჭენა ცხენი, მაგრამ რადგანაც დაბურვილი ტყიანი გზა იყო და მრიელ გაჭენება არ შეიძლებოდა ცხენისა, მგელი მოეწია და სწვდა ცხენს ბარკალში. ცხენმა მგელს წიხლი მიარტყა და გაინთავისუფლა თავი, მაგრამ მგელი ხელმეორედ წამოეწია და ეხლა მეორე ბარკალში სწვდა და გამოაგლიჯა. მამა ალბეგოვმა საჩქაროდ დაუყვირა თავისს გამცილებელს: „ჩქარა თავს უშველე—ხეზედ აჰვარდი, ცოფიანი მგელი მომდევსო“. მართლაც ავარდა ხეზედ და უშველა თავს. მ. ალბეგოვი როგორც იყო, ცოტა მანდვრად გამოვიდა და ცხენი უფრო გამოაჭენა. მგელი კი მიუბრუნდა ხეზედ ასულ კაცს და დაუწყო პატარა ხანს ყურება და მერე ღასლასით გაუდგა გზას. აქედგან მგელი იმ ღამეს ჩავარდა იმ სოფელში, საცა მამა ალბეგოვი მიდიოდა და ორმოცამდე საქონელი დაგლიჯა. სოფელში მაინც ვერ მოჰკლეს ის, თუმცა მეორე დღეს ქუდზედ კაცი გამოვიდა თოფებითა და კომბლებით. მესამე დღეს მგელი მეცხვარეებს მიუვარდა და იმათ მოჰკლეს. დაგლეჯილი ცხენი ერთ კვირაზედ გაცოფდა და მოკვდა.

არდონის მკურნალებმა გასინჯეს ცოფიანი ცხენი და აღმოჩნდა, რომ მგელს ისე ჰქონოდა მორეული ცოფი, რომ მისგან დაკბენილ ადამიანის მორჩენა ულოდ შეუძლებელი იყო თურმე. მ. ალბეგოვს მგელმა ცოტად ანაფორის ბოლოც გამოაგლიჯა.

ქართველი ოსებში

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

გაზეთებში დაწვრილებით არის აღწერილი ამბავი რენსბურგიდგან (კაპის ახალშენის ჩრდილოეთ მხარეს იმყოფება) სუფფოლკის პოლკის რამდენიმე რაზმის ტყვედ წაყვანისა ბურების მიერ, რასაცა ამას წინად მოხდა. ოთი რაზმი ამ პოლკისა სერზედ ასულა და სრულებით არ სცოდნიათ, რომ იქ ბურები იყვნენ ჩასაფრებული. პოლკოვნიკს უატსონს გამამხნევებელი სიტყვა უთქვამს ჯარისათვის და ეს უკანასკნელი წინ წასულა. სანამ 20 მეტრის სიშორეზედ არ მიუახლოვდნენ ინგლისელები, ბურებს ხმა არ გაუღიათ, მაგრამ მაშინ კი გაჩსნ შემორტყმიან და თოფები დაუშენიათ. უატსონს უნიშნებია თავისის ჯარისათვის, არ შეშინებულიყვნენ და მტერს შეჰბმოდნენ, მაგრამ იმავე წამს მტრის ტყვიას მისს დაუცია ის. ბურების მხრივ წვიმასავით მოდიოდა თურმე ტყვია და ინგლისის ჯარს მეტი გზა არა ჰქონდა, მტერს უნდა დამორჩილებოდა. უკან მყოფს რაზმებს-კი მოუსწრიათ გაქცევა, ისე რომ დიდი ზარალი არ მოსვლიათ. ბურების სიყოჩაღეს ძლიერ გაუკვირვებია მტერი. დახოცილი ჯარის კაცები ინგლისელებისა იმათ ბრძოლის ველიდგან წაუღიათ და ბრძოლის შემდეგ ქრისტიანულ წესით მიწისათვის მიუბარებიათ. დასაფლავების დროს, ბურების ჯარის კაცნი ფესამუნებს ჰკვალობდნენ თურმე.

— „Daily Mail“-ში დაბეჭდილია რაოდენობა ლედისმიტში დახოცილ და დაჭრილ ინგლისის ჯარის კაცთა. გაზეთის სიტყვით, 14 ოფიცერია მოკლული და 34 დაჭრილი, დაბალ ჯარის კაცთა დახოცილებისა და დაჭრილთა რიცხვი 800-მდე იქნება. ასე ჰფიქრობენ, რომ მოყვანილი ანგარიში სიმართლესთან ახლოს არისო.

## დამაკვირდი

როდესაც ლედაკაცი სცეკვავს, მისი ენა განცხრომაშია, რადგან მხოლოდ ამ დროს ღირსება ხოლმე დასვენება.

საფირი

* * *

იშრომე ისე, თითქოს საუკუნო ცხოვრება მოგელოდეს; ილოცე ისე, თითქოს იცოდე, რომ იმ დღესვე უნდა გამოესალმო სიცოცხლეს.

ტოსკანური ანდაზა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

ყოველ წელიწადს შობის წინა დღეებში პარიჟის მაღაზიები სავსეა ხოლმე სხვა და სხვა საბავშვო სათამაშოებით. შარშანაც, როგორც ყოველთვის, მაღაზიებში მრავლად ეწყო სათამაშოები, მაგრამ ეს სათამაშოები წინანდელებისაგან იმით განირჩეოდა, რომ მათ შორის მრავალი იყო გამოქანდაკებული და ხისაგან გამოჭრილი ბურების სახეები. საზოგადოდ ფრანგები პოლიტიკას სათამაშოებშიაც-კი არ ივიწყებენ. პირველი ადგილი ამ სათამაშოებში ტრანსვაალს ეჭირა, შემდეგ თვით საფრანგეთის საქმეებს. დრეიფუსის საქმეს, გერენის, დერულედის საქმეებს. მრავლად იყო, მაგალითად, სათამაშოებში გუდაპერჩისაგან გაკეთებული დერულედის, გერენის და სხვათა თავები.

* * *

ესპანიის გაზეთები ერთხმად აქებენ ამ ჟამად სამის წლის პიანისტს ვინმე პეპიტო არიოლას. ამ ნიჭიერ ბავშვს გაზეთები დიდს სახელს უქადიან და ეხლავე მოცარტთან ადარებენ. რამდენად გამართლდება გაზეთების წინასწარმეტყველება, ამას მხოლოდ მომავალი გამოაჩენს. ესკია, რომ ჯერ-ჯერობით ბავშვს მართლა ყველანი განცვიფრებაში მოჰყავს თავისს კონცერტებით. ამას წინად პატარა ვირტუოზი ესპანიის დედოფალმა სასახლეში მიიწვია და უხვად დააჯილდოვა.

* * *

ქ. მონტევილეოში საკვირველი კაცი გაჩენილა. ეს კაცი, როგორც გაზეთები იუწყებიან, უწამლოდ არჩენს თურმე ყოველ გვარ ავადმყოფობას. საკმაოა თურმე ამ კაცმა ავადმყოფს ხელი მიადოს, რომ იგი მაშინვე განიკურნოს და ფეხზედ წამოდგეს. ეს საკვირველი კაცი ესპანელია, გვარად პენედესი, სასმელების ქარხნის პატრონი.

* * *

პარიჟის გამოფენაზედ სხვა საკვირველებათა შორის ერთი ალმასიც იქმნება, რომელიც ამას წინად, ომის დაწყებამდე სამხრეთ აფრიკაში, კიმბერლეის მახლობლად იპოვნეს. ამ ალმასს 10 მილიონ ფრანკად აფასებენ. გამოფენის დროს იმ ადგილს, სადაც ეს ალმასი იქმნება გამოფენილი, ოთხ დარაჯს დააყენებენ, რომ არავინ მოიპაროს. დღემდის ასეთი დიდი და ძვირფასი ალმასი არავისა ჰქონია თურმე.

## გამოსადეგი ცნობა

დარეცხილი დანა-ჩანგალი მშრალს ნაცარში უნდა ჩააწყოთ. როდესაც გაშრება, ამოიღოთ და ქატო მოაშოროთ. სრულიად ახალს ემსგავსება.

## შემოწირულება

იოსებ ძნელაძემ შემოსწირა მოსკოვის ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ 3 მანეთი და ოილების სასარგებლოდაც 2 მანეთი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 იანვარი.

**მოსკოვი.** სასოფლო მეურნეობის სწავლის გავრცელების შესახებ შემდგარმა კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს მიწად მოქმედების მინისტრის წინაშე, შეცვლილ იქმნას სწავლება მეორე ხარისხის ყველა სამალონო სასწავლებელში, ისე რომ სწავლის პროგრამა მომეტებულად გაფართოვდეს.

**ლონდონი.** „Times“-ს ატყობინებენ სპირმანსკამპიდგან 9 იანვარს, რომ ბურები დაბანაკებული არიან ოთხი მილის სიშორეზედ რიჩარდსდრიფტიდგან ჩრდილო დასავლეთის მხარესო. წუხელ მტრის ჯარის მარცხენა მხარემ ბანაკი დასცალაო.

**მახუდიე.** ბურების მზვერავებს უნდოდათ სადგური გაბერონესი დაეწვათ, მაგრამ საომრად გამართულმა მატარებლებმა ხელი შეუშალათ. მტერი დაიმალა.

**გაბერონესი.** პოლკოვნიკმა პლუმერმა დაათვალიერა ბურების პოზიციის ახლო-მახლო მდებარე ადგილები. რკინის გზის ხიდი გაბერონესის სამხრეთით აღდგენილ იქმნა.

**ლონდონი.** გარდაიცვალა ჰერცოგი ტეკი. გუშინ კიდევ რომანისტი ბლეკმორი გარდაიცვალა.

**ლონდონი.** ბულლერის დეპეშა, სპირმანსკამპიდგან 9 იანვარს გამოგზავნილი, იუწყება: „ჟონრენმა მთელი დღე ბრძოლაში გაატარა. იმის მემარცხენე ჯარმა ორის მილით წინ წაიწია. ბრძოლა მთიან ადგილას არის, ამიტომ ძნელი სათქმელია რამდენად გავიმარჯვებთ, ვფიქრობ კი, რომ წინ წავიწევთ“.

**დურბანი.** ინგლისის მოხელეებმა გაანთავისუფლეს გერმანიის გემი „მარია“.

**ლონდონი.** სპირმანსკამპიდგან იუწყებიან, რომ გენერალმა კლერიმა და გარტმა გუშინ სასტიკის ბრძოლის შემდეგ 1000 იადრით წინ წაიწიესო. ბურები თოფებს ის ვრიდნენ. ინგლისელებმა პასუხი არ გასცეს. გათენებისას ბურებმა საოცარი სროლა ასტეხეს. ინგლისელებმა პასუხი გასცეს და ბრძოლა ხელ ახლა დაიწყო. ინგლისელებმა პირველი გორაკები ხიშტებით აიღეს. ბურები ზარბაზნებს ნაკლებად ისვრიან, უთუოდ იმიტომ, რომ ყუმბარები შემოაკლდათ, თოფს-კი მთელი დღე ისვრიდნენ. ინგლისელებმა მტრის სამი პოზიცია აიღეს.

11 იანვარი.

**პეტერბურგი.** სამთო ინჟინერს იოსრას ებრძანა იყვეს იმპერატრიცა ეკატერინა მეორის სამთო ინსტიტუტის დირექტორად.

**სახალინი.** მატერიკისაგან სამის თვის განმავლობაში მოწყვეტის შემდეგ, პირველი ფოსტა მოვიდა, რომელიც თათრის სრუტეზედ გამოვლით 240 ძაღლით მოიტანეს. მივიღეთ სექტემბრის ჟურნალ-გაზეთები.

**ლონდონი.** „Times“-ში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი, სპირმანსკამპიდგან გამოგზავნი 9 იანვარს: ბურებმა დასტოვეს სიმაგრეები, რომელიც ინგლისელებმა დაიჭირეს. მტერმა დაიჭირა მეორე პოზიცია მთის წვეროებზე, პირველ პოზიციის უკან. ინგლისელებს აზრად აქვთ მტრის ჯარი ორად გაჰყონ და წინ წასწიონ თავიანთი მარჯვენა მხრის ჯარი. ინგლისელებმა დაიჭირეს შემოზღუდული პოზიცია მტრისაგან ნახევარ მილის სიშორეზე“.

**ვაშინგტონი.** გუშინ საღამოს საოპერო თეატრში კრება შესდგა, რომელსაც იმ აზრით მოუწოდეს, რომ თანაგრძნობა გამოუცხადონ ბურებს. მრავალ დამსწრეთა შორის იმყოფებოდნენ წარჩინებული კაცები და კონგრესის რამდენიმე წევრი. სიტყვები წარმოითქვა და განაჩენი დაადგინეს, რომელშიაც ნათქვამია, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკელები თავისუფალი და დამოუკიდებელი უნდა იყვნენო.

შემდეგ კრებამ დაადგინა სთხოვონ მაკკინლეის მეომარ მხარეთ წინადადება მისცეს შუა კაცად იყვეს ის და წინააღმდეგობა განაცხადა შეერთებულ შტატებიდგან ინგლისის სასარგებლოდ გემებით სამხედრო მასალის გაგზავნის შესახებ. ბუფალოშიაც მოხდა კრება ასეთისავე აზრით.

**კიმბერლეი.** 5 იანვარს ბურები ყოველ მხრივ ყუმბარებს ესროდნენ კიმბერლეის დილიდგან მოყოლებული საღამოს 8 საათამდე.

**ლონდონი.** დღეს სამხედრო სამინისტროს არავითარი დეპეშა არ გამოუქვეყნებია ბულლერის მოქმედების შესახებ. ბულლერი დეპეშით იუწყებოდა მხოლოდ, რომ გუშინდელს ბრძოლაში დახოცილ იქმნენ ერთი ოფიცერი და 5 სალდათი; დაჭრილი არიან 3 ოფიცერი და 76 სალდათი და რვა კაცი გვაკლიაო.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა სამინისტრო გადაჭრით უარს ჰყოფს იმ ხმებს, ვითომც უებსტერ დევისს რომელიც ამ ჟამად სამხრეთ აფრიკაში იმყოფება, რაიმე მინდობილება ჰქონდეს თავისის მთავრობისაგან. ამერიკის კონსულს კაპშტადტში—სტოუს, რომელიც ბიძაშვილია დევისისა, აკრძალული აქვს პრეტორიაში გაჰყვეს დევისს, როცა ის საჭიროდ სცნობს იქ წასვლას.

რესპუბლიკის მიერ გამოგზავნილი მოტეგიუ უაიტი მოვიდა აქ.

## წერილი რედაქციის მიმართ

წარსულ ნოემბრის 28-ს ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართა ქართულ-რუსული წარმოდგენა სიმღერით. ბილეთების გასყიდვით შემოვიდა 191 მ. 70 კ., ბუფეტიდგან—92 მან., შემოწირულებანი—23 მან. 60 კ.; სულ—307 მ. 30 კაპ.

ამ ფულიდგან მარკებში და საღამოს გასამართავად დაიხარჯა 107 მან. 30 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 200 მან., რომელიც საზოგადოების ხაზინადარს ჩაჰბარდა.

ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგე კომიტეტი თავისს მოვალეობად სთვლის უგულითადესი მადლობა გამოუცხადოს: ქ-ნთ: ა. მ. ლუპულოვისას, ე. მ. ესაულოვისას, ე. ი. კრივოშეისას, ზ. ვ. იანკევსკისას, ე. ა. ფალიაშვილს და კ. ს. მეფისაშვილს; ბ-ნთ: ა. ა. პოტაპოვს, ი. ი. ავრამჩიკს, ვ. ა. კორინთელს და გ. ბ—ს, როგორც წარმოდგენაში მონაწილეთ; კ. ა. ალმაზოვისას, მ. თ. ბეშკუროვისას, ა. გ. იანკევსკისას, თ. მ. ცირულნიკოვისას და გალობის სხვა მოყვარულთაც გუნდში მონაწილეობის მიღებისათვის; 77 ქვეითა ტენგინის პოლკის უფროსს სამხედრო მუსიკის მუქთად დათმობისათვის; საქალაქო კლუბის გამგეობას სადგომის მუქთად დათმობისათვის; ყველა შემომწირველთ და აგრეთვე ყველას, რომელთაც ხელი შეუწყეს საღამოს გამართვას და მისის წარმატებისათვის იზრუნეს.

საზოგადოების თავმჯდომარე მარია გამრეკელისა

## სასამართლოს ცნობები

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

პირველს სისხლის სამართლის დეპარტამენტში

13 იანვარი.

გიორგი ოსიტაშვილისა, ვლადიმირ ბარათაშვილისა, თავ. შიხი ტუსიშვილისა და ალექსანდრე ტერ-შმოვანოვისა, რომელთაც გაბაშვილის მკვლელობა ჰბრალდებათ.

პირველი სამოქალაქო დეპარტამენტი

18 იანვარი

სენატის ბრძანებისა და დავით პატარაკაციშვილის სააპელაციო საჩივრით ამიერკავკ. რკინის გზის წინააღმდეგ დავა დასახიჩრების გამო ფულის გარდახდის შესახებ.

მესამე სამოქალაქო დეპარტამენტში

20 იანვარი.

(ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან გადმოტანილნი სააპელაციო საჩივარნი)

ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა რწმუნებულის ეჯუბოვისა ხაზინის წინააღმდეგ მიწის შესახებ მანუჩარ ბასილის ძის რუსიას მიერ დაწყებულ დავის გამო.

სენატის ბრძანებით სიმონ ნადირიას მიერ ხაზინის წინააღმდეგ მიწის შესახებ დაწყებულ დავის გამო.

გიორგი ადანიასი იმის შესახებ, რომ მოსპობილ იქმნას დავა 1890 წლის 5 მაისის 600 მან. სესხის ქაღალდის სიყალბის შესახებ.

დავით ბაქრაძის დავა, დაწყებული მღვდელ ზაქარია და გლეხ კიკოლა ბერუკაშვილებისა, გიგო სვირტლაძისა და სხ. წინააღმდეგ მამულის შესახებ.

დავით მერაბის ძის ზარაქაძისა და დავით მეძმარიაშვილისა სიყალბის შესახებ.

27 იანვარი.

(ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან გადმოტანილნი სააპელაციო საჩივარნი)

რობერტ რიხნერის ვექილისა ნიკო გეგენავას წინააღმდეგ მამულისა და შენობის დაქცევის შესახებ დაწყებულ დავის გამო.

რობერტ რიხნერისა დავით ნოდიასთან მამულის დავის გამო.



# განცხადებანი

ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის **შავის ქვის მწარმოებელთა კრების საბჭო საყოველთაოდ აცხადებს**, რომ ამ მწარმოებელთა სადგომში, ქ. ქუთაისს,—1900 წლის 15 იანვარს, შაბათს, შუადღის 12 საათზედ,

## მოხდება საჯარო ვაჭრობა

იჯარით გასაცემად ჭიათურაში მდ. ყვირილაზედ ხიდის გამართვისა და იმ ადგილებში, სადაც შავის ქვის წარმოებაა, გზების შეკეთების საქმისა. მსურველს შეუძლიან კრების საბჭოს სადგომში გასინჯოს ხარჯთაღრიცხვა და დაფასების მოწმობა.

(3—6.—3)

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება მ. შარაძის და ამხანაგობის გამოცემა

## მიცვალებულის საგალობელი.

წიგნში მოთავსებულია მიცვალებულის ყველა სძლის პირი, გადაღებულია ფ. ი. ქორიძის მიერ, ღირს 20 კ. და ისყიდება გამომცემელთა სტამბასა და წერა-კითხვის საზოგადოებაში.


Дозволено цензурою, Тифлисъ 11 Января 1900 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე